



საქართველოს მთავრობა აღიარებს ომის ვეტერანთა მიმართ გამოყენებულ ძალადობას მჯდომარე გაფიცვის დროს

გამოქვეყნებულია: 4 მაისი, 2017

საქართველოს მთავრობამ გააფორმა შეთანხმება ათ მომჩივანთან, რომელთა საპროტესტო აქცია ომის ვეტერანთათვის დახმარების შეწყვეტის შესახებ პოლიციამ ძალის გამოყენებით დაშალა. მთავრობამ აღიარა, რომ პოლიციის მიერ დარღვეული იქნა არაპუმანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის (3 მომჩივანი) და თავისუფალი შეკრების უფლება (ყველა მომჩივანის მიმართ). მთავრობამ საკუთარ თავზე აიღო მათ მიმართ გამოყენებული ძალადობის ეფექტური გამოძიების ვალდებულება. ათ მომჩივანს ამ საქმეში წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა ევროპული საადვოკატო ცენტრი ([EHRAC](#)), რომელიც მიდლსექსის უნივერსიტეტშია განთავსებული, და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ([საია](#), თბილისი).

2011 წლის 3 იანვარს, მომჩივანთა მიერ ორგანიზებული იქნა მჯდომარე გაფიცვა. აქცია მიზნად ისახავდა ომის ვეტერანთათვის სოციალური დახმარებისა და შემწეობის შეწყვეტის გამო პროტესტის გამოხატვას. აქციის მონაწილეებმა წინასწარ შეატყობინეს ხელისუფლებას თავიანთი განზრახვის შესახებ, რომ აპირებდნენ დემონსტრაციის მოწყობას. მჯდომარე აქციის დროს პოლიციამ დემონსტრანტებს მოსთხოვა დაეშალათ კარები და დაეტოვებინათ იქაურობა. ისინი არ დათანხმდნენ ამ მოთხოვნას. ამის შემდეგ საქმეში ჩაერთო დიდი რაოდენობით სპეციალური აგენტი, რომლებიც სამოქალაქო ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი. აქცია ძალის გამოყენებით იქნა დარბეული. რვა მომჩივანს იძულებით დაადეს ხელბორკილები და პოლიციის ავტომანქანებზე მიაჯაჭვეს, მოგვიანებით კი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მუხლით ადმინისტრაციული სასჯელი შეეფარდათ. სარჩელის შეტანის შემდეგ დაიწყო კრიმინალური გამოძიება რამდენიმე დემონსტრანტის ფიზიკური შეურაცხყოფის საფუძველზე.

მომჩივანთა მიერ მოგებული კომპენსაციის სრული რაოდენობა შეადგენს 21,500 ევროს.

ეს არის მერვე საქმე, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული საადვოკატო ცენტრისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თანამშრომლობის შედეგად იქნა მოგვარებული ან მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, ან უნილატერალური დეკლარაციის საფუძველზე. ეს საქმეები მიუთითებს საქართველოს დღევანდელი მთავრობის პოლიტიკას - მცდელობას ურთიერთობა მოგვარდეს უშუალოდ მომჩივანებთან. ადამიანის უფლებათა ევროპული საადვოკატო ცენტრი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მონიტორინგს გაუწევს სახელმწიფოს პროგრესს ეფექტური გამოძიების განხორციელებაში, რათა უზრუნველყოფილი იქნას ამ გადაწყვეტილების შესრულება და სამართლიანობის აღდგენა დაზარალებულთათვის.